

2015 წლის 24 ივნისს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ს.რ.საპრ. №1-15 (CMR 150126353) ხელშეკრულებაზე

18.03.2016

თბილისი

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის მაია ქალიაშვილის სახით, შემდგომში შემსყიდველი, ერთი მხრივ და შპს საპროექტო-საკვლევადიებო ინსტიტუტი „ტრანსპროექტი“, წარმოდგენილი მისი დირექტორის ტალი ტალიაშვილის სახით, შემდგომში მიმწოდებელი, მეორე მხრივ, შემსყიდველი ორგანიზაციის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის – საავტომობილო გზების ტექნიკური პოლიტიკის სამმართველოს 2016 წლის 18 მარტის N 1864-2 მოხსენებითი ბარათისა და ხელშეკრულების მე-9 მუხლის 9.6 პუნქტის საფუძველზე, ვთანხმდებით შემდეგზე:

1. შევიდეს ცვლილება საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის 136-ე კმ-ზე საბაჟო გამშვები პუნქტის „ყაზბეგის“ მიმდებარედ მოსალოდნელი სტიქიური და სხვა ფორსმაჟორული მოვლენების შედეგების პრევენციის მიზნით, „საევაკუაციო ნაგებობების“ მოწყობის სამუშაოებისათვის საჭირო საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების შესახებ მხარეთა შორის 2015 წლის 24 ივნისს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ს.რ.საპრ. №1-15 ხელშეკრულებაში და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის დასრულების ვადად 2016 წლის 31 იანვრის ნაცვლად განისაზღვროს 2016 წლის 31 მარტი.

2. აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდეს 2016 წლის 30 აპრილის ჩათვლით.

3. ზემოხსენებული ცვლილებები იგულისხმება ხელშეკრულების ყველა იმ ნაწილში, სადაც მითითებულია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ს.რ.საპრ. №1-15 ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების გაწევისა და ხელშეკრულების მოქმედების ვადები.

4. დანართი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს ხელშეკრულების მოქმედების ვადით.

5. წინამდებარე დანართი წარმოადგენს პირველ პუნქტში აღნიშნული ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, განიხილება მის სხვა პირობებთან ერთად და ხელშეკრულების ყველა სხვა მუხლი და პირობა რჩება უცვლელი.

6. დანართი შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად.

შემსყიდველი
დეპარტამენტის
თავმჯდომარის მოადგილე
მაია ქალიაშვილი



Handwritten signature of Maia Kaliaashvili in blue ink.

მიმწოდებელი
შპს საპროექტო-საკვლევადიებო ინსტიტუტი
„ტრანსპროექტი“
დირექტორი
ტალი ტალიაშვილი



Handwritten signature of Tali Taliasvili in blue ink.